საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000076477622221

№ 01-67-A **01 / მარტი / 2021 წ.**

ბრძანება

2021 წლის 28 თებერვლის № 01 - 6 5 –A ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის

სამუსიკო სემინარიის შენობის დაკეტვის და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შესახებ)

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ქვეპუნქტით , ,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ COVID-19 დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დანართი N 37 და სამუსიკო სემინარიის გულნარა ნიკოლაძის 2021 წლის 26 თებერვლის N139 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 28 თებერვლის № 01 - 6 5 –A ბრძანება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. აიპ ,,ჩვენი სკოლის ‘’ მასწავლებლისათვის COVID-19 ვირუსული ინფექციის დადასტურების გამო სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის შენობა დაიკეტოს 2021 წლის 01 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით.

2.სამუსიკო სემინარიის დირექტორს გულნარა ნიკოლაძეს დაევალოს შენობის გახსნამდე კადრების სამსახურის უფროსს, COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების შესრულების კოორდინატორს, რეაგირების გეგმის განხორციელების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირს თეა ტიგინაშვილს წარუდგონოს ყველა თანამშრომელის, მასწავლებელების და დამხმარე პერსონალის covid -19 სწრაფი ტესტის პასუხები (ტესტი ჩატარებულ უნდა იყოს პასუხის წარმოდგენამდე არაუმეტეს 48 საათით ადრე)."

2.სამუსიკო სემინარიის მეხანძრე-დარაჯები 2021 წლის 01 მარტიდან გადავიდნენ 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე.

3.ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის

ვებგვერდის ადმინისტრატორს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ. N6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ხორბალაძე